პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 227 (19668) ◆ ხუთშაბათი, 2 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1986 წლის 25 სექტემბერს მიიღო დადგენილება „კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობის შედეგების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია იმ მითითებებისა და დასკვნების პრინციპული მნიშვნელობა, რომლებიც 1986 წლის 17-19 სექტემბერს გამოითქვა კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების პარტიულ აქტივთან და მშრომელებთან გამართული შეხვედრების დროს. ამ შეხვედრებზე დაისახა გარდაქმნის რეალისტური სურათი, შეჯამებულია მისი პირველი შედეგები, განსაზღვრულია გარდაქმნის გამიზნული და თანამიმდევრული განხორციელების ამოცანები. ჩამოყალიბებული დასკვნები ავითარებენ სკკპ XXVII ყრილობის დებულებებს გარდაქმნის რევოლუციური, ყოვლისმომცველი ხასიათის შესახებ, აკონკრეტებენ მათ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს — ეკონომიკის, სოციალური ურთიერთობის, პოლიტიკური ზედნაშენის, სულიერი ცხოვრების, პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის კვალობაზე. პარტიის საქმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთ გეზს, რომ გარდაქმნა არის არა ერთჯერადი, ერთმომენტიანი აქტი, არამედ პროცესი, რომელიც გარკვეული ისტორიული პერიოდის ფარგლებში ჩაივლის.

გარდაქმნა, ხაზგასმულია დადგენილებაში, ჩვენი სოციალისტური წყობის შინაგანი რეზერვებისა და შესაძლებლობების მობილიზაციის მთავარი ბერკეტი, სკკპ XXVII ყრილობის გეზის განხორციელების უცილობელი პირობაა. პარტია, რომელიც წარმართავს და ორგანიზაციას უწევს გარდაქმნის პროცესს, ხელმძღვანელობს ხალხის მასების ცოცხალი შემოქმედებით, ეყრდნობა მათს ღრმა დაინტერესებას განსახორციელებელი გარდაქმნებით. მშრომელებს არ სურთ იკმარონ გუშინდელი მიღწევები, შეურიგდნენ ნაკლოვანებებს, ნეგატიურ მოვლენებს. საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარეობს სერიოზული ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების ფართო ღონისძიებების განხორციელებასთან და მართვის რეფორმასთან, საარსებო სოციალური პრობლემებისაკენ შემობრუნებასთან, ახლებური მორალური ატმოსფეროს შექმნასთან.

ამასთანავე სკკპ XXVII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მითითებების, განახლების კურსის განხორციელებაში არ იგრძნობა ჭეროვანი დინამიზმი, თუმცა, მოლიანად საზოგადოება მტკიცედ არის განწყობილი ცვლილებებისათვის, გარდაქმნის პროცესი რთულად, წინააღმდეგობრივად, არათანაბარზომიერად მიმდინარეობს, აწყდება სხვადასხვაგვარ სოციალურ-ფსიქოლოგიურ და ორგანიზაციულ დაბრკოლებებს, იმათ წინააღმდეგობას, ვინც ეგოისტური ინტერესების გულისათვის ცდილობს შეინარჩუნოს დრომოჭმული წესები და პრივილეგიები. გარდაქმნის მუხრუჭია ბიუროკრატიული დამახინჯებანი მართვის აპარატის მუშაობაში, უდისციპლინობა და შასასუფთავებლობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ გარდაქმნას უზრუნველყოფს მხოლოდ ძველთან ახლის ბრძოლა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღება, საჯაროობის განვითარება საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაციის საფუძველზე, ყოველ შრომითს კოლექტივში, პარტიულ ორგანიზაციაში, თითოეულ ოლქში, რესპუბლიკაში, დარგში, პარტიასა და მოლიანად საზოგადოებაში ისეთი პირობების შექმნა, როდესაც ყოველი ადამიანი გრძნობს თავს ქვეყნის ბატონ-პატრონად, ღრმად აქვს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის, იჩენს მოქალაქეობრივ პოზიციას. კომუნისტების, ყველა მშრომელის, პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაგეგმვისა და სამეურნეო მართვის ორგანოების, შრომითი კოლექტივების უურადღება უნდა მიეპყროს მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანების გადაწყვეტას, რომელსაც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაეკალათ გულდასმით გაანალიზონ თითოეულ შრომითს კოლექტივში, ხელმძღვანელობისა და მართვის ყველა დონეზე გარდაქმნის მიმდინარეობა, მიანიშნონ მას მეტი გაქანება, მიაღწიონ, რომ ყოველ უბანზე საქმე უკეთესობისაკენ იცვლებოდეს, ადამიანები თავს გრძნობდნენ ლადად, მოქმედებდნენ ენერგიულად. საჭიროა ყოველნაირად გავაფართოოოთ საჯაროობა, დემოკრატიზმის ყველა ფორმა, გავალიერთ ქვემოდან კონტროლი, გამოვიტანოთ კრებებსა და პრესის ფურცლებზე მწვავე საკითხები, რომლებიც აწუხებს კომუნისტებს, რეგიონის, დარგისა და საწარმოს მშრომელებს.

პარტიული ორგანოები თავიანთი ორგანიზატორული, პოლიტიკური და იდეოლოგიური საქმიანობის მთელი სტილით საზოგადოებას უნდა აძლევდნენ გარდაქმნის მაგალითს, ასტიმულირებდნენ ყველაფერს, რაც მიზნად ისახავს ნაკლოვანებების გამოსწორებას, რაც შეიცავს საგულისხმო წინადადებებსა და გამოცდილებას, წარმოაჩენს შრომითი კოლექტივების, ჩვენი სოციალისტური წყობიერების პოტენციალს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ეკუთვნით ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უდიდესი შრომა უნდა გასწიონ რეალურ ცხოვრებასთან პოლიტიკური გეზის შერწყმის, პარტიის დირექტივების მთელი სიმკაცრით განხორციელებისათვის.

[illegible] ამოოოთ [illegible] მარ[illegible] ორგანოებს, საქმიანობა [illegible] ინიციატივა [illegible] ამ[illegible] ამ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი ამ მხრივ არცთუ იშვიათად აწყდება სამინისტროებისა და უწყებების ინერტულობას, რომლებიც ვერ შელევიან ძველსა და რბილში გამჯდარ ჩვევებს, არ ჩქარობენ უფლებების გადაცემას საწარმოებისა და გაერთიანებებისათვის, კვლავინდებურად განაგრძობენ უამრავი ცირკულარის დაგზავნას, ქმნიან აქტიური მუშაობის მოჩვენებითს სურათს, არ ასრულებენ დადგენილ ვადაში კონკრეტულ დავალებებსა და მითითებებს. საჭიროა, უწყება-სამინისტროთა საქმიანობა დაექვემდებაროს მეეურნეობრიობის ახალი პირობების შექმნას, ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების შემუშავებასა და ფართო გამოყენებას, წარმოების მართვაში მშრომელთა აქტიურ ჩაბმას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად აღნიშნა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ძველ, მანკიერ პრაქტიკას, როდესაც ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას ადგილებზე თვითნებურად გადასწვენენ ხოლმე უფრო გვიანი ვადებისათვის, და ხაზი გაუსვა, რომ ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ საშიშ გზას დაადგებიან, პერსონალური პარტიული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეურნეო ორგანოებს, ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს რედაქციებს წინადადება მიეცათ ყოველნაირად განავითარონ ხალხის შემოქმედებითი აქტიურობა, არ შეამცირონ ნაკლოვანებათა კრიტიკის დონე, არ აუარონ გვერდი იმათ, ვისაც კონკრეტულად მიუძღვის ბრალი სუსტ მუშაობაში, მტკიცედ დაუჭირონ მხარი ყოველივე ახალს, მოწონავეს, უფრო ღრმად შეისწავლონ გარდაქმნის გამოცდილება, უფრო სრულად ასახონ მისი პოზიტიური მომენტები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის უყბანისა და სტავროპოლის შეხვედრებმა და საუბრებმა დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა ადამიანების დიდი ინტერესი სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის — მშვიდობის პოლიტიკის საკითხებისადმი, დაადასტურა, რომ მას მთლიანად უჭერენ მხარს ხალხის ფართო მასები.

ამ შეხვედრებმა კვლავ და კვლავ გამოავლინა პარტიისა და ხალხის ერთიანობის უდიდესი ძალა, მათი გადაწყვეტილება — გახადონ ა-ბჭოთა სოციალისტური საზოგადოება კიდევ უფრო ძლევამოსილი და მშვენიერი მშრომელი ადამიანის, კომუნიზმის იდეალების საკეთილდღეოდ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

პატივცემულო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა, მინდა გულითადად მოგესალმოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და წარმატება ვუსურვო თქვენს თათბირს. მას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

დრო მოითხოვს ინიციატივას, შემოუშვდებას ცხოვრების ყველა სფეროში. მან წამოაყენა უპრეცედენტო სიახლისა და მასშტაბის ამოცანები, რომლებიც ყველაზე მოკლე ისტორიულ ვადაში უნდა გადაწყდეს.

ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს მტკიცე რწმენით, **რომ დაჩქარების, გარდაქმნის, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახლებური მდგომარეობის მიღწევის კურსის რეალიზაცია წარმოუდგენელია იდეურ-თეორიული საქმიანობის გაჯანსაღების გარეშე,** განვითარებადი სოციალიზმის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის პრაქტიკული ღონისძიებების საიმედო მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე.

თავის დროზე მარქსი და ენგელსი წერდნენ, რომ ჯერ კიდევ იქამდე, სანამ პროლეტარიატი გამარჯვებას მოიპოვებდეს ბარიკადებზე, იგი მთელი რიგი ინტელექტუალური გამარჯვებებით აუწყებს მსოფლიოს თავისი ბატონობის დადგომას.

თუ ამ სიტყვებს ახლანდელ დროს მივუსადაგებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ჩვენი საზოგადოების თვისებრივად ახლებურ მდგომარეობას მივაღწევდეთ, ჩვენ უნდა მოვიპოვოთ დიდი ინტელექტუალური გამარჯვებები, არსებითად დავაწონაურდეთ თეორიის სფეროში, ცხოვრების ახალი მოვლენებისა და პროცესების შემოქმედებითი გააზრების მხრივ.

თეორია მარტოოდენ პერსპექტიული სოციალური და პოლიტიკური ორიენტაციისათვის როდია აუცილებელი. იგი საჭიროა უკლებლივ ყოველი წინგადასადგმელი ნაბიჯისათვის. ვერც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხი ვერ გადაწყდება, თუ იგი არ გავიაზრეთ და თეორიულად არ დავასაბუთეთ. თვით თეორიული საქმიანობა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალა, გარდაქმნის უმთავრესი ინსტრუმენტი ხდება.

თეორიული აზროვნება უფრო სრულად და ღრმად უნდა წარმოაჩენდეს უწინარესად სოციალიზმის თანამედროვე სტადიის თავისებურებებს, 2000 წლამდე და შემდგომი პერიოდისათვის თვისებრივად ახლებური მდგომარეობის მიღწევის ცალკეულ ეტაპებს, იგი მოწოდებულია მოგვცეს მთლიანად თანამედროვე მსოფლიოს მეცნიერულ-ობიექტური სურათი.

ყოველივე ეს რთული საკითხებია. ავიღოთ მხოლოდ ერთი მათგანი. ჩვენი იდეალია ადამიანს ყოველმხრივი განვითარება, რომელიც გულისხმობს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას. ამასთან მთავარია, მატერიალურ პროგრესს მოჰყვეს ინტელექტუალური და მორალური შენაძენი.

გამოცდილებით ვიცით: თუ ადამიანსა და საზოგადოებაში კნინდება სულიერი, ზნეობრივი საწყისი, მაშინ გარდაუვალად ძლიერდება მუშტრული განწყობილებანი, ნივთშონობა, მწირდება შინაგანი სამყარო. როგორც ვხედავთ, მოთხოვნილებათა აღმაღლების კანონი არ მოქმედებს მარტივად და ავტომატურად. აქ პრობლემა არის, და თანაც გვარიანი. ამიტომ მისი გადაჭრა გვმართებს ადამიანის განვითარებისა და ცხოვრების ყველა ფაქტორის თანამიმქმედებით.

დაწყებული გარდაქმნა უაღრესად პასუხსაგებ სოციალურ შეკვეთას აძლევს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელ სისტემას. თანამედროვე ცხოვრების მასალით უნდა გავიმდიდროთ ჩვენეული წარმოდგენები საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის დიალექტიკის, სოციალისტური საკუთრების, კოოპერაციის, სახალხო თვითმმართველობისა და დემოკრატიის. საზოგადოებრივი ცნობიერების, განვითარების, ნეგატიური მოვლენების ბუნებრივის და მათი დაძლევის გზებისა და ბევრი სხვა რამის შესახებ.

პარტიას იმედი აქვს, რომ ეკონომიკის მეცნიერება სულ უფრო მეტ წვლილს შეიტანს ჩვენს ბრძოლას საწარმოო ძალების განვითარების, ავანგარდული ტექნოლოგიების გამოყენების, წარმოებითი ურთიერთობის თვისებრივი სრულყოფის, მეურნეობის გაძლიერსა და მართვის ფორმების შეცვლისათვის.

უთანხოდ შეუძლებელია დაჩქარება, მთავარი ფაქტორის — ადამიანის ფაქტორის ამოქმედება.

ერთი სიტყვით, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს თეორიული ფრონტის აქტივიზაცია უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია. ეს არის ჩვენი სტრატეგიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, გადაუდებელი და ობიექტური სოციალური მოთხოვნილება. ამ გზაზე უარი უნდა ვთქვათ ბევრ რამეზე, ხოლო ბევრი რამ — ხელახლა დავიწყოთ.

რას ვგულისხმობ?

XXVII ყრილობის საპროგრამო დოკუმენტებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში „ურნალ „კომუნისტის“ შესახებ აღინიშნა საზოგადოებათმცოდნეობის გარდაქმნის აუცილებლობა. დასახულია მისი სპრობლემო მიმართულებანი, ასევი მუშაობის კონკრეტული გზები და მეთოდები. თქვენ აქ იმსჯელებთ ამ საკითხებზე.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება. უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობ, საქმე უნდა ეხებოდეს საზოგადოებათმცოდნეობის შეცვლილ როლსა და მხიბვნლობას ოგორც მთლიანად მეცნიერების შიგნით, ისე უფრო ფართო — საზოგადო და საკაცობრიო მასშტაბით. საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა თვისებრივი, შეიძლება ითქვას, რევოლუციური ცვლილებები მოითხოვს არა მარტო საზოგადოებათმცოდნეობის უბრალო გარდაქმნას, არამედ აგრეთვე მის მიძართ სხვა მეცნიერებების და საერთოდ საზოგადოების მთელ რიგ არსებით ძვრებს.

ცხადია, რომ ჩვენი ცხოვრების გარდაქმნა-განახლების პროცესში მიმდინარეობს იდეების, ფსიქოლოგიური განწყობის, აზროვნებისა და ქცევის სტილების მწვავე, ზოგჯერ არცთუ აშკარა, მაგრამ უკომპრომისო ბრძოლა. ძველი უბრძოლველად არ თმობს პოზიციებს. იგი პოულობს ახალ-ახალ ფორმებს, რათა მოერგოს ცხოვრების დინამიკას სხვადასხვაგვარი სქოლასტიკური კომბინაციით. ამასთან, ზოგჯერ ცდილობენ „დაჩქარების“, „გარდაქმნის“ ცნებებიც მოარგონ დრომოჭმული დოგმებისა და სტერეოტიპების ჩარჩოებს, გამოაცალონ მათ ყოველივე სიახლე, რევოლუციური არსი.

მაგრამ დღევანდელ პროცესებს ძველ ფორჰულებს ვერ მოარგებ. უნდა შევიმუშაოთ თანაადროვე ცხოვრების დიალექტიკის ამსახველი ახალი დასკვნები. და ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ შემოქმედების ატმოსფეროში. ჭეშმარიტების ძიება უნდა მიმდინარეობდეს სხვადასხვაგვარი. თვალსაზრისების შედარების, პაექრობისა და განხილვის, ფესვგადგმული სტერეოტიპების მსხვრევის გზით.

და ამიტომ განსაკუთრებული ძალით ვამბობთ, რომ ახალი იდეების წამოყენებაში მეტი სითამამე და თაოსნობა გვმართებს. სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს პარტია ასე აწყვეულ აყენებს საკითხს „ჭეშმარიტების მომენტის“ შესახებ, საკითხს სიმართლის დამკვიდრების შესახებ ცხოვრებასა და მეცნიერებაში, რომელიც მოწოდებულია სწავლობდეს მას და პოულობდეს მისი პრობლემების გადაჭრის საღ და ეფექტიან გადაწყვეტებს, „ამათი უპირველესი მოვალეობა, — ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი, — ვისაც სურს ეძიოს „გზები კაცობრიობის ბედნიერებისაკენ“, არის არა თავისი თავის გაბიაბრუება, არამედ იმის გაბედულად და გულახდილად აღიარება, რაც არის“.

ახლებური აზროვნება, რომელსაც ყველანი უნდა დაეუფლონ, — ეს არის დიალექტიკური აზროვნება, ხოლო დიალექტიკა, როგორც კ. მარქსი წერდა, „არაფრის წინაშე არ იდრეკს ქედს და თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციურია“. და ეს თვისება ეკუთვნის მარქსიზმს „მთლიანად და უცილობლად“.

დღეს საზოგადოებამცოდნეთა წინაშე დგას ამოცანა, დაძლიონ ცხოვრების მოთხოვნილებებისაგან დამორება. ჩვენ უაღრესად გვჭირდება საზოგადოებათმცოდნეობის მთელი ფრონტის მტკიცე შემობრუნება პირით პრაქტიკისაკენ. ეს დააყენა საკითხი ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ მიმართულებით წარიმართება თქვენი თათბირის მუშაობაც.

მინდა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო: პრაქტიკასთან თეორიის კავშირის განმტკიცება უბრალოდ ზოგადი მოწოდება როდია. ეს არის საზოგადოებათმცოდნეობის გარდაქმნის თვალთავი, მეცნიერთა, მასწავლებელთა მუშაობის პრინციპი.

და კიდევ ერთი რამ: პრაქტიკა შეეცნების საფუძველი და ჭეშმარიტების კრიტერიუმია. ეს ჩვენ დიდი ხანია შევთვისეთ, ამას ასწავლით თქვენ სტუდენტებს. მაგრამ განა ყოველთვის ვუწევთ ანგარიშს იმას, რომ თეორიისა და პრაქტიკის კავშირი დიალექტიკური კავშირია? არ შეიძლება თეორიული ამოცანები მოსწყვიტო პრაქტიკულ ამოცანებს. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ თეორია მხოლოდ ფაქტების აღნუსხვით გაიაოგივო. თეორია წინ უნდა უსწრებდეს პრაქტიკას, უფრო ფართოდ განიხილავდეს მოვლენებს, უფრო ღრმად იყურებოდეს და ნედავდეს იმას, „რასაც დრო-ქამი ფარავს“.

მეცნიერება, თეორია უბადლოა იქ და მაშინ, სადაც და როდესაც „ვერ ჭრის“ მოქმედების ჩვეულებრივი ხერხები, სადაც წარსული გამოცდილება და პრაქტიკული საზრიანობა ვეღარ მოგვეცეს საჭირო რჩევას, სადაც აუცილებელია პრინციპულად ახლებური გადაწყვეტები, უსტანდარტო მოქმედება.

მეცნიერება საჭიროა იქ და იმისათვის, რომ ვაყალიბებდეთ, ვნერგავდეთ და ვავითარებდეთ ახალგაზრდობის უნარს — იაზროვნოს დამოუკიდებლად, შემოქმედებითად.

დაუფარავად და გულახდილად ვიტყვი: საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დღესდღეობით არსებული მდგომარეობა, მისი ფორმები და მეთოდები მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს იმას, რასაც ჩვენ დოგმატიზმს, სქოლასტიკას ვუწოდებთ. მიდრეკილებას—ეძებნ „ანბანურ ჭეშმარიტებებში“ მზამზარეული რეცეპტები, რომლებიც ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის გამოგადგება, წარმოშობს წერილმანობა, არა შემოქმედებითი აზროვნების მეთხებით ღეწა, არამედ ზოგადი დებულებების უგუნური ზუთხვა.

ლენინი, როგორც ცნობილია, ზუთხვა-დაზეპირებას უპირისპირებდა მოფიქრებას, არადა, ზშირად სწორედ ეს გვაკლია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში.

შეიქმნა პარადოქსული სურათი: თანამედროვე მეცნიერულ შემეცნებაში ყველაზე საინტერესო და წარმტაცი — ადამიანი და საზოგადოება, მათი განვითარების კანონები, წინააღმდეგობანი, კლასთა ზრძოლა, ახალი სამყაროს შენებლობა, კაცობრიობის სწრაფვა იდეალისაკენ, სულიერი ძებანი და იმედგაცრუებანი, ჭეშმარიტების მიგნება და შრომითი აღმშენებლობის გმირობა — **არცთუ იშვიათად ლექციებსა და ხელმძღვანელობებშიც კი გადაქცეულია რაღაც მოსაწყენ, კაზიონურ ფორმალურ თხრობად.**

არადა, ამით კლავენ მარქსიზმ-ლენინიზმის ცოცხალ სულს, მისი ემოციური ინტელექტუალობის მთელ მიმზიდველობას, რომელიც მწვერვალი და თავიდათავია ადამიანის მგზნებარე აზროვნებისა, მშრომელი ხალხის მთელ სიბრძნესა და ტკივილს, უდიდეს გამოცდილებას, სოუკეთესო მერმისის იმედებს რომ განასახიერებს.

დღეს, როდესაც პარტიამ მოგვიწოდა, ვიაზროვნოთ და ვიმუშაოთ ახლებურად, საჭიროა **მნიშვნელოვანწილად ასევე ახლებურად წარვმართოთ აღზრდა-განათლების პროცესი.**

უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება შემოქმედებითს მიდგომას, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დოგმატიკური მეთოდებისა და მეთოდიკების მსხვრევის აუცილებლობას. ხელახლა უნდა გადავიკითხოთ პროგრამები, ძვირფასო ამხანაგებო, უნდა მოვამზადოთ ახალი ლექციები, გავაახლოთ სახელმძღვანელოები.

ერთი სიტყვით, ისევ და ისევ უნდა მიეშართოთ დიალექტიკას, მის მეთოდს, რომელიც გვასწავლის, როგორ ჩავწვდეთ ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის არსს, როგორ განვავითაროთ აზრი და შეიცნაბა წინააღმდეგობის შეშეეობით. ეს პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მეთოდიკებსა და უმაღლესი სასწავლებლის პროგრამებს, რომლებშიც ნამდვილი სიცოცხლის სუნთქვა უნდა იგრძნობოდეს. იგი ძირითადი უნდა გახდეს სემინარულ მეცადინეობებზე, სადაც უფრო მეტად გემართებს ვნერგავდეთ დამოუკიდებელი მსჯელობის, მეცნიერული პაექრობისა და კამათის უნარს, ვინაიდან, მოგეხსენებათ, კამათში იშვება ჭეშმარიტება. დიალოგი, და არა მონოლოგი, — აი, რა არის ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების ნამდვილად შემოქმედებითი პროცესის უცილობელი ელემენტი.

ჩვენ გვინდა რომ ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური მრწამსი იყოს დიდი ფიქრის, ძიებისა და სასიხარულო მიგნებების, თუ გნებავთ, აღმოჩენების — თუნდაც, სათავისო აღმოჩენების — შედეგი. მხოლოდ მაშინ გახდება მრწამსი შინაგანი, პირადად გაცნობიერებული, გათავისებული და, მაშასადამე, ნამდვილად მტკიცე, ისეთი, რომ გამოგადგეს ცხოვრებაშიც და შრომაშიც.

ჩვენს დროში, გარდატეხის დროში, მთელი სიგრძე-სიგანით დგება მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მნიშვნელოვანი საკითხი. არის თუ არა აქ ახალი პრობლემები, ამოცანები? ვგონებ, რომ არის.

კაცობრიობის მეცნიერული და ტექნიკური ძლიერების ზრდა, გლობალური პრობლემების გამწვავება, ადამიანთა ცივილიზაციის და თვით ქვეყნად სიცოცხლის არსებობისადმი გაძლიერებული საფრთხე მილიტარიზმისა და აგრესიის იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად — ყოველივე ეს ახალ მსოფლმხედველობითს პრობლემებს აყენებს და გვავალებს ახლებურად გავიაზროთ ძველი პრობლემები.

ახლანდელ რთულ, წინააღმდეგობრივ, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში გარკვევის უნარი ბუნებით ნაბოძები როდია. მას ვერც გზადაგზა, სპეციალური დისციპლინების სწავლის პროცესში შეიძენ. ეს უნარი უნდა გამოვუმუშაოთ მომავალ სპეციალისტებს. მსოფლმხედველობა ხომ მარტოოდენ სამყაროს შესახებ ზოგადი ცნობების ერთობლიობა როდია. ეს არის იმავდროულად გაცნობიერებული კლასობრივი ინტერესები და იდეალები, სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმები, სოციალური პრიორიტეტები და ჰუმანისტური ღირებულებანი, ყოველივე ის, რაც განსაზღვრავს ცხოვრებაში ადამიანის ქცევის გეზის არჩევას, მის პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას საზოგადოებისა და საკუთარი თავისადმი.

საზოგადოებათმცოდნეობას არამც და არამც არ უნდა რჩებოდეს მხედველობიდან მთავარი ამოცანა — აყალიბებდეს საბჭოთა ადამიანის პიროვნების სულიერ საფუძვლებს, აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციებს, განსაზღვრავდეს მის საქცევლს.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა განუზომლად გაზარდა კაცობრიობის ტექნიკური ძლიერება. ამ ძლიერების ნაწილაკს ვანდობთ ახლა ინჟინერს, კონსტრუქტორს, მეცნიერს. როგორ უპატრონებს იგი მას, გააკეთებს თუ არა სწორ არჩევანს, როდესაც გარემოებანი ამას მოითხოვს?

ეს საკითხთა საკითხია. და იგი უდავოდ არის დამოკიდებული სპეციალისტთა მსოფლმხედველობითს ორიენტაციაზე, მაშასადამე, ძალზე არსებითად — თქვენს მუშაობაზე, ამხანაგებო!

მაინც, როდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სპეციალისტთა მომზადებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებს!

სტუდენტებთან თქვენს სასწავლო და აღმზრდელობითს მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებენ მომავალი ინჟინრები და აგრონომები, ეკონომები და მასწავლებლები დაუკავშირონ თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს მიღწევათა შესფერისი ცოდნა, პროფესიული კომპეტენტურობა იდეურ მრწამსს, პოლიტიკურ მოწიფულობას, მაღალ ზნეობას, სოციალურ აქტიურობას.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი დრო არა მარტო დიდ, — ის კი არა, მე ვიტყოდი, მკაცრ — მოთხოვნებს გვიყენებს, არამედ გვანიჭებს კიდევ ეშმარიტად უპრეცედენტო შესაძლებლობებს გამოვავლინოთ ტალანტები, პრაქტიკულად გამოვიყენოთ უნარი და ნიჭი.

ყველგან ისე უნდა დავაყენოთ საქმე, რომ მაძიებელი, შემოქმედი ადამიანები, რომლებიც გარდაქმნის ავანგარდში დგანან, ლადად გრძნობდნენ თავს, უფრო ნაყოფიერად მუშაობდნენ და უკეთ ცხოვრობდნენ. ეს ეხება წარმოებასაც, მეცნიერებასაც, ხელოვნებასაც, საზოგადოებრივი ცხოველქმედების ყველა სფეროს.

სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ინტელექტუალური, მეცნიერული პოტენციალი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი, თავისი ბუნებით ამოუწურავი რესურსი ხდება. და დაჩქარების ისტორიული ამოცანების გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული ამ პოტენციალის სწორ, მზრუნველ და ეფექტიან გამოყენებაზე. მის მობილიზაციაში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს **უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებამ.**

უმაღლესი განათლების სისტემაში სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მქონე ყველა სწავლულთა დაახლოებით ნახევარი დასაქმებული. მაგრამ განა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ დროის მოთხოვნების შესაფერისი წვლილი შეაქვთ მეცნიერულ-ტექნიკურ და სოციალურ პროგრესში? გულახდილად რომ ვთქვათ, არა! უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერება ჯერ კიდევ დდ ვალია საზოგადოების წინაშე.

მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური, ფართო მასშტაბისა და გრძელვადიანი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ განვამტკიცეთ საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლების თანამშრომლობა. უზომო, მეტისმეტად ვიწრო სპეციალიზაცია, ცოდნის სხვა დარგების მიღწევათა უგულებელყოფა დღეს სერიოზულად ამუხრუჭებს თვით მეცნიერების, მათ შორის, საზოგადოებამცოდნეობის განვითარებას. ისევე როგორც ეკონომიკაში, მეცნიერებისა და განათლების სფეროშიც მტკიცედ უნდა მოვშალოთ უწყებრივი ბარიერები, თანაც არა მარტო უმაღლესი სასწავლებლის, აკადემიისა და დარგის მეცნიერების შორის, არამედ თვით უმაღლესი განათლების სფეროშიც, რომელიც ათობით „დეპარტამენტად“ არის დაქუცმაცებული.

ყველა ეს და სხვა საკითხები უფრო თამამად უნდა დავაყენოთ და გადავწყვიტოთ. ამასთან, უწინარესად საქმის ინტერესებისათვის უნდა შეგვტკიოდეს გული. აი, მაშინ საზოგადოებამცოდნეობის გარდაქმნაც უფრო სწრაფად წარიმართება. მაშინ საზოგადოებრივი მეცნიერებანი უფრო ახლოს იქნებიან ცხოვრების მოთხოვნებთან, პრაქტიკასთან. მაშინ უფრო ეფექტიანი და ნაყოფიერი გახდება საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება.

ცენტრალურ კომიტეტს თქვენი იმედი აქვს, იგი გისურვებთ წარმატებებს თქვენს ძნელ და საზოგადოებისათვის ესოდენ საჭირო მუშაობაში. მაგრამ უნდა გარდავქმნათ, თანაც საფუძვლიანად, რათა არ ჩამოვრჩეთ დროის მოთხოვნების დონეს.

უაღრესად რთულ მასშტაბურ ამოცანებს, რომლებიც დღეს დგას ჩვენ წინაშე, ოპტიმისტურად ეუყურებთ: ჩვენ ყოველივე ეს უნდა გავაკეთოთო, ჩვენ არ შეიძლება ეს არ გავაკეთოთო, ჩვენ ამას უსათუოდ გავაკეთებთ!

* * *

შემდეგ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ი. კ. ლიგაჩოვმა.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის, თათბირის შემდგომი მიმდინარეობისათვის მართლაც რომ საკვანძო მნიშვნელობა აქვს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ახლანდელ სიტყვას. ამ სიტყვაში შემდგომი განვითარება პოვა პარტიის XXVII ყრილობის მითითებებმა ხალხის იდეურ

ვასწავლოთ ახლებურად აზროვნება და მოქმედება

(გაგრძელება)

პარტიის მთელი საქმიანობა ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, განაგრძო ი. კ. ლიგაჩოვმა, არსებითად მოასწავლის იდეოლოგიისა და ცხოვრების მჭიდრო კავშირის, სიტყვისა და საქმის ერთიანობის უცილობელ დამკვიდრებას. წინათ ვურიგდებოდით ამ პრინციპის გადახვევებს, რაც იწვევდა ნეგატიურ მოვლენებს ეკონომიკის ფუნქციონირებაში, აფერხებდა სოციალური სფეროს განვითარებას, აუარესებდა ზნეობრივ ატმოსფეროს, წარმოშობდა სერიოზულ ხარვეზებს საკადრო პოლიტიკაში. პარტიის დამსახურება ის არის, რომ იგი დროზე მიხვდა ქვეყნის განვითარებაში მკვეთრი გარდატეხის გადაუდებელ აუცილებლობას. 1985 წლის აპრილში ცენტრალურ კომიტეტში, პარტიის ხელმძღვანელ ბირთვში ჩამოყალიბდნენ ძალები, რომლებმაც სწორად შეაფასეს ეკონომიკაში, საზოგადოებაში შექმნილი სიტუაცია და წამოაყენეს ჩვენი განვითარების დაჩქარების იდეა, რომელიც ყოველმხრივ და ღრმად დაამუშავა სკკპ XXVII ყრილობამ.

დაჩქარების კონცეფციის წამოყენებიდან სულ მოკლე ვადაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, მთელმა პარტიამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მისი განხორციელებისათვის. უწინარეს ყოვლისა, მივიღეთ გადამჭრელი ზომები, რათა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე განგვემტკიცებინა პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. ამის მეოხებით მტკიცე საკადრო წინამძღვრები შევუქმენით XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, გარდაქმნის კურსის რეალიზაციას. შევიმუშავეთ სახალხო მეურნეობის ღრმა ტექნიკური რეკონსტრუქციის პროგრამა მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის უახლესი ძიებანის ფართო ათვისების საფუძველზე. ავიღეთ ნამდვილი, არა ნაწილობრივი, არამედ სრული სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური იჯარის, საწარმო-ბირთვებიანებათა თვითანაზღაურებაზე, თვითდაფინანსებაზე გადაყვანის მტკიცე კურსი. საწარმოო დარგებში გავითვალისწინეთ ხელფასის სისტემის გარდაქმნა. ამის მეოხებით დიდი ნაბიჯი გადავდგით არა მარტო სახალხო მეურნეობის, არამედ აგრეთვე ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის, დემოკრატიული საწყისების განვითარებისათვის საზოგადოების ცხოვრების გადამწყვეტ სფეროში — ეკონომიკის სფეროში.

სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებით ეკონომიკური დაინტერესების სფერო სულ უფრო ფართოვდება და მოიცავს არა მარტო გაერთიანებებსა და საწარმოებს, არამედ ტერიტორიებსაც: ქალაქებს, ოლქებს, რესპუბლიკებს. ამრიგად, წარსული ბარდება პრაქტიკა, როდესაც ზეგეგმითი პროდუქციისა და დაზოგილი რესურსების ადგილობრივი სპეციალიზებისათვის გამოყენების ყოველგვარ ცდას უთუოდ განხილავდნენ როგორც „კუთხურობის“ გამოვლინებად. შეიძლება ითქვას, რომ ახლა სოციალიზმის პრინციპი „თითოეულისგან — უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით“ — ტერიტორიულ დონეზეც კვიდრდება.

განვლილი დროის მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა სახალხო მეურნეობის ურთიერთდაკავშირებული დარგების კომპლექსების მართვის სტრუქტურა. არსებითად გაფართოვდა ადგილობრივი ორგანოების, უწინარესად — სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილება და გაძლიერდა მათი პასუხისმგებლობა ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომპლექსურ გადაწყვეტაში, მოსახლეობის საჭირბოროტო დაკმაყოფილებაში. წინა წლებში სერიოზულად ჩამორჩებოდა ცხოვრების მოთხოვნილებებს სოციალურ-კულტურული სფეროს: სახალხო განათლების, მეცნიერების, ჯანდაცვის, კულტურის მატერიალური ბაზა. მიმდინარე ხუთწლედში დასახულია ამოცანა უზრუნველყოთ აქ სოციალისტური წყობილების შესაფერისი პროგრესი. მშრომელთა საყოველთაო მხარდაჭერით პარტია შეუდგა რეალურ, და არა სიტყვიერ ბრძოლას ისეთი მძიმე სოციალური სენის წინააღმდეგ, როგორიც არის ლოთობა და ალკოჰოლიზმი. მკვეთრად შემცირდა ღვინო-არყის პროდუქციის წარმოებაც და მოხმარებაც. ენერგიული ღონისძიებანი ხორციელდება, რათა გზა გადაუკეტოთ აქა-იქ გაჩენილ ნარკომანიას. საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და ზნეობრივი საფუძვლების განმტკიცებას ხელს უწყობს აგრეთვე შეურიგებელი ბრძოლა, პარტიამ და სახელმწიფომ, მთელმა საბჭოთა ხალხმა რომ გააჩაღეს უშრომელი შემოსავლის მოვნის წინააღმდეგ.

მოხსენებაში საგანგებოდ აღინიშნა ღონისძიებანი, რომლებიც იდეოლოგიური მუშაობის მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად ხორციელდება. შემუშავებულია სამამულო ტელე და რადიომაუწყებლობის, პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკურ საშუალებათა განახლების გეგმები, ძლიერი იმპულსი მიეცა საყოფაცხოვრებო ვიდეოტექნიკის წარმოების სწრაფ ზრდას უკვე მიმდინარე ხუთწლედში, განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში გამომავალი კინოფოტომასალისა და მაგნიტური მატარებლების ხარისხის ძირეული გაუმჯობესების პროგრამა.

უფრო დინამიკური, ინიციატივიანი და, რაც მთავარია, გაცილებით უფრო კონკრეტული გახდა ჩვენი მოქმედება საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ არ შეგუშინდით ბირთვულ იეფეიქტთა მორატორიუმის გამოცხადებასა და გახანგრძლივებას, ბირთვული იარაღის გამოცდის მოწყობის აკრძალვისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. ამან მკვეთრად გაზარდა ჩვენი მოქმედების ეფექტიანობა, შეგვძინა ახალი მოკავშირენი, აამაღლა ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში. რადიკალური ცვლილებანი შეგვაქვს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დაგეგმვისა და მართვის პრაქტიკაში. ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე წესად გაიხადა ელფაარაკოს ხალხს მხოლოდ სამართლის ენით, და არც მალავს გარდაქმნის დიდ სირთულეებს. ეს სირთულენი გვაქვს ეკონომიკაში, პოლიტიკაში, გვაქვს იდეოლოგიურ მუშაობაში. მკვეთრი შემობრუნება, რომელსაც ამჟამად ახორციელებს საბჭოთა საზოგადოება, არსებითად რევოლუციური ხასიათისაა. მის გასაველლად დაგვჭირდება დრო, რესურსები, პარტიისა და ხალხის უდიდესი ძალისხმევა, ყოველი საბჭოთა ადამიანის მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა და მოწიფულობა. მთავარია ჩვენით დავიწყოთ გარდაქმნა, ვუპასუხოთ პარტიის მოწოდებას საქმით, საუკეთესო შრომითი შედეგებით.

ზოგჯერ, განაგრძო ი. კ. ლიგაჩოვმა, გვეკითხებიან: რატომ არის, რომ ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტას მრავალგზის ვკიდებთ ხოლმე ხელს. რა შეიძლება ვუპასუხოთ ამას? ჩვენ უკანა გზებთ მივდივართ და ვძლევთ დიდ, თავისი ხასიათით ობიექტურსა თუ სუბიექტურ სიძნელეებს. ვ. ი. ლენინი გვასწავლის: საქმის მომთავრება, გადაკეთება, თავიდან დაწყება კიდევ არაერთგზის მოგვიხდება. ყოველ საფეხურს, რომლითაც მივიწევთ წინ, ზევით, საწარმოო ძალებისა და კულტურის განვითარების საქმეში, თან უნდა სდევდეს ჩვენი საბჭოთა სისტემის მომთავრება და გადაკეთება და სავსებით გასაგებია, რომ საქმის მომთავრება, გადაკეთება და თავიდან დაწყება გვიხდება მაშინაც, როდესაც ვაწყდებით მოდუნებას, ინერციულ ძალებს, ჩვენს განვითარებას რომ აბრკოლებენ. ლენინის დანაბარებიდან უნდა გამოვიტანოთ ერთი დასკვნა: არ ავარიდოთ თავი მომწიფებულ საკითხებს, კვლავ და კვლავ მოვკიდოთ ხელი მათს გადაწყვეტას, სანამ ბოლომდე მივიყვანდეთ დაწყებულ საქმეს. სწორედ ასე მოქმედებს ჩვენი პარტია.

საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ურყევი იდეური საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც ერთიანი [illegible] ციური მოძღვრება. ამ მოძღვრების უდიდესი გარდამქმნელი ძალის წყაროა მისი გაშუქებული განახლების უნარი, ამ მოძღვრების მიერ აღმოჩენილი საზოგადოებრივი განვითარების კანონების მეცნიერული ობიექტურობა. მარქსიზმ-ლენინიზმი გვაიარაღებს საიმედო მეთოდით, ბუნების, საზოგადოების, აზროვნების შემეცნების ინსტრუმენტით, რომელიც არასაღრო გვიმტკიცებს, ჩვენს პარტიას, მის თეორიულ კადრებს დიდი ამაგი მიუძღვიან ახალი საზოგადოების შენებლობის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემების შემუშავებაში. სკკპ XXVII ყრილობამ მოგვცა ბრწყინვალე ნიმუში, თუ როგორ მივუსადაგოთ მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდი თანამედროვე სინამდვილის ანალიზს. ყრილობამ ცხადყო რევოლუციური კრიტიკულობა, შეუწყნარებლობა ყოველგვარ დრომოჭმულის და ყავლგასულის, ყოველგვარი ფსევდოთეორიული ხარახურისა და ბაქიბუქის, ყოველგვარი ცრურწმენისადმი, თუნდაც ისინი მეცნიერულ სამოსელში ეხვეოდნენ. ამავე დროს მან შეიმუშავა განხილული ამოცანების მასშტაბური, თამამი გადაწყვეტები, აღმოაჩინა ახალი მიდგომები მთელი რიგი, შეიძლება ითქვას, მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის კლასიკური პრობლემებისადმი. მან წამოაყენა პრინციპულად ახალი არსის თეორიულ-პოლიტიკური დასკვნები.

ყრილობამ განავითარა კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბების მოძღვრება, დაგვაწინაურა სოციალიზმის სრულყოფის კანონზომიერებათა გაგების მხრივ, გამოავლინა სიახლე ამ პროცესის ობიექტური პირობებისა და სუბიექტური, ადამიანის ფაქტორის დიალექტიკაში. ყრილობის შემდეგ უფრო მდიდარი და ღრმაშინაარსიანი გაგვიხდა წარმოდგენა საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის თანამოქმედების შესახებ, აქ მოქმედი არაანტაგონისტური წინააღმდეგობის დროული გადმოვლენისა და გადაწყვეტის მეთოდების შესახებ. გამოტანილი სტრატეგიული მნიშვნელობის დასკვნები სოციალური სფეროს როლის ზრდის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაციისა და დემოკრატიის გაფართოების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების გზების, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების აქტივიზაციის შესახებ. ღრმად არის წარმოჩენილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის, საჯაროობის, როგორც სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების ნორმის მნიშვნელობა, პარტიის მუშაობის სტილი და მეთოდები, მასებთან კავშირის განმტკიცების ამოცანები. საზოგადოებრივი აზროვნების დიდი მიღწევა გახდა თანამედროვე სამყაროს საქმეთა მდგომარეობის ანალიზი. ყრილობამ დაასაბუთა ბირთვულ-კოსმოსურ ხანაში ახლებური პოლიტიკური აზროვნების საჭიროება. ცხადყო ორი სისტემის შეჯიბრებისა და მსოფლიო გაერთიანების მზარდი ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკა, შეიმუშავა საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის პროგრამა. გასცა მკაფიო პასუხი თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო საკითხს — ომისა და მშვიდობის საკითხს.

XXVII ყრილობის უმნიშვნელოვანესი დასკვნები განზოგადებულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ერთიან კონცეფციაში, რომელიც განსაზღვრავს პარტიის საქმიანობის პერსპექტივებს ისტორიულად ხანგრძლივი პერიოდისათვის. მასში დასნიშნულებულია ჩვენი საზოგადოების ცხოველქმედების არსებითად ყველა ასპექტის ღრმა თეორიული დასაბუთება. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალიზმის სრულყოფა მით უფრო წარმატებით მიმდინარეობს, რაც უფრო აქტიურია მარქსისტულ-ლენინური თეორიის როლი ცოცხალი პრაქტიკის გაცნობიერებაში. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებათმცოდნეობითი კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას.

დამეთანხმებით, ამხანაგებო, თქვა შემდეგ ი. კ. ლიგაჩოვმა, რომ ჩვენს თათბირს მართებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მიუდგეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაზე, გამოტანილ დასკვნას, რომ ჩვენი ფილოსოფიური, ეკონომიკური, მთელი საზოგადოებათმცოდნეობითი მეცნიერება გარკვეულწილად დაშორებულია ცხოვრების მოთხოვნილებებს.

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმ მიღწევათა უარყოფას, რომლებიც გვაქვს ფილოსოფიაშიც, პოლიტიკურ ეკონომიაშიც და ისტორიულ მეცნიერებებშიც. და მაინც, საზოგადოებრივ მეცნიერებებში საქმის მდგომარეობა ჯერჯერობით არამც და არამც არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. ზერელობა, ცხადზე უცხადეს ჭეშმარიტებათა მომაბეზრებელი ცოხნაც, სიახლის შიში, დოგმატიზმი, სამწუხაროდ, ფართოდ არის გავრცელებული ამ მეცნიერებებში. სამეცნიერო კოლექტივებში არცთუ იშვიათად ფეხმოკიდებულია ჯგუფურობა, სუფეთს ერთმანეთის ხოტბა-დიდებისა და თავისაქენის ატმოსფერო, დაკარგულია მეცნიერებაში საკუთარი ადგილის კრიტიკული შეფასების უნარი. ზოგჯერ ცდილობენ გარდაქმნის პროცესი შეცვალონ მოწოდებებით, პოლიტიკური ლაყბობის მორიგი შემოტევებით.

შეეხო რა საზოგადოებრივ მეცნიერებებში არსებულ ნაკლოვანებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დიდი ყურადღება დაუთმო ფილოსოფიის საქმის მდგომარეობას. ეს დიდი მეცნიერება, თქვა მან, ზოგიერთი სწავლოლის წყალობით, ახლა, კაცმა რომ თქვას, ყველაზე მეტად დაშორდა ჩვენს ყოფას. ძალზე ცოტა გვაქვს ადამიანებისათვის მისაწვდომი და საინტერესო ფილოსოფიური შრომები, რომლებიც ფართო საზოგადოებრივ რეზონანს იწვევდნენ. ცოტა გვაქვს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრობლემათა ფართო კომპლექსადმი მიძღვნილი ღრმა ნაშრომები. სერიოზულად ჩამორჩება დროის მოთხოვნებს სოციოლოგიური კვლევის თეორია და პრაქტიკა. უკეთ არც მეცნიერული კომუნიზმის თეორიის განვითარების მხრივ გვაქვს საქმე. ეს მეცნიერება თავისი ბუნებით აღსავსე უნდა იყოს სიცოცხლით, ბრძოლის გზებით, აცისკროვნებდეს თავისი იდეებით კომუნიზმის მშენებლობის ყველაზე მოწინავე პოზიციებს. ამის მაგივრად ხშირად აქაც ვაწყდებით იგივე გაუბედავ აზროვნებას — მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის უქონლობას, ურომლისოდაც არ არსებობს ნამდვილი მეცნიერი, უნდობლობას — ხელი მოჰკიდონ საბჭოთა საზოგადოების განვითარების მწვავე პრობლემების შესწავლას.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს პარტიის ისტორიის კვლევის ახლანდელი მდგომარეობა. ამ მეცნიერების საქმის მდგომარეობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბევრი ისტორიული მოვლენის არსის გამოცლა, მისი ფიურცლების პერიოდული გადაწერა. ლენინის პარტიის „მისი გამოჩენილი მოღვაწეების, ყველაზე ავთილშობილი იდეალებისათვის ბრძოლაში თავდადებული მილიონობით კომუნისტის ისტორიას ხშირად გადააქცევენ შრომალ სქემად, ისტორიისადმი მიძღვნილი ბევრი წიგნი და სტატია იწერება ულიმოამი ენით და ვერ პოულობს ფართო მკითხველს. დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც პასუხს აგებენ ცოდნის ამ დარგის განვითარებისათვის, უწინარესად კი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, უნდა გაერკვნენ აქ დაგროვილ პრობლემებში და მიაგნონ მათს გადაწყვეტას.

წინ დიდი სამუშაო გვიძევს, ხაზგასმით აღნიშნა ი. კ. ლიგაჩოვმა. მისი წარმატებისათვის საზოგადოებათმცოდნეთა კოლექტივებში უაღრესად საჭიროა შევქმნათ, ასე ვთქვათ, მაღალი გონებრივი დაძაბვისა და ძიების ზონა. ამის სწორი გზაა ნორმალურად მიმდინარე შემოქმედებითი განხილვები. ისინი მეცნიერული ცოდნის შეძენის ეფექტიან მეთოდებს უნდა წარმოადგენდნენ. პაექრობის მაღალი კულტურა შეუთავსებელია იარლიყების ხელაღებულ დაწებებასთან, სოციალიზმისგან ვითომდა გადახვევის დაბრალებასთან. ამ ხერხებს არავითარი კავშირი არა აქვთ არც ჭეშმარიტ მეცნიერებასთან, არც ჭეშმარიტ შემოქმედებასთან და არც ჭეშმარიტ მარქსიზმთან.

„...საჭიროა შევითვისოთ ის უდავო ჭეშმარიტება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ მარქსისტმა ანგარიში უნდა გაუწიოს ცოცხალ ცხოვრებას, **სინამდვილის** ზუსტ ფაქტებს, და კვლავინდებურად არ ჩაებღაუჭოს გუშინდელი დღის თეორიას...“ ზუსტად ასევე ჩვენს დღეებშიც მეცნიერის პარტიული პოზიციის განსაზღვრავს არა ფეხმოკიდებულ შეხედულებებს მორგების უნარი, არამედ უნარი — მეცნიერულად დაასაბუთოს საზოგადოებაში მიმწიფებული ცვლილებები, განსაზღვრავს გადაწყვეტილება — ხელი შეუწყოს სოციალიზმის ნამდვილად განმტკიცებას. ერთი სიტყვით, სკკპ XXVII ყრილობის ფორმისა და შინაარსის შესაბამისად საზოგადოებრივ მეცნიერებათა გარდაქმნა რთული, მრავალმხრივი ამოცანაა. მაგრამ იგი უნდა გადაეწყვიტოთ — თანაც დაუყოვნებლივ. საზოგადოებაში შექმნილია საამისო პოლიტიკური და იდეოლოგიური წანამძღვრები.

შემდეგ ი. კ. ლიგაჩოვმა განხილა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების დამკვიდრებული სისტემის გარდაქმნის საკითხები. ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმაღლესი სკოლის წარმატებანი ახალი საზოგადოების მშენებლობაში საყოველთაოდ არის ცნობილი. მაგრამ უკანასკნელ ხანს აქ თავი იჩინა მოდუნების მოვლენებმა; სპეციალისტთა მომზადებაში გაბატონდა ხელაღებული ბიუროკრატია. შესუსტდა მასწავლებელთა კოლექტივებში ნიჭიერი ახალგაზრდობის შემოსვლა. ასეთი მდგომარეობა მიუღებელია ქვეყნისათვის. იგი შეუწყნარებელი გახდა თვით უმაღლესი სასწავლებლის მუშაკებისთვისაც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის „ქვეყნის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებების“ განხილვა მიმდინარეობდა არა მარტო უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებში, არამედ პრაქტიკულად ყველგან. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში, ცენტრალური გამოცემების რედაქციებში შემოსულია ბევრი წინადადება და ტექსტის დამატება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პროექტის დახვეწისას მხედველობაში იქნა მიღებული. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლესი სკოლის გარდაქმნის შესახებ პარტიის ძირითადი დოკუმენტი, განსასახიერებს მილიონობით საბჭოთა ადამიანის კოლექტიურ გონებას, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და იმედებს.

დაწყებული გარდაქმნის მთავარი მიზანი ის არის, რომ უზრუნველვყოთ სპეციალისტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ეფექტიანობის ძირეული ზრდა სახალხო მეურნეობაში მათს უკეთ გამოყენებასთან მჭიდრო კავშირით.

ამ ეტაპზე ეს ამოცანა ასეთ ფორმას ღებულობს: ინჟინერ-ტექნიკოსთა, ეკონომისტთა, ბუღალტრთა, ფინანსისტთა, ბანკირთა, ტექნიკოსთა, ტექნოლოგთა, ფერმერთა, ექიმთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, ეკონომისტთა, ბუღალტრთა, ფინანსისტთა, ბანკირთა, ტექნიკოსთა, ტექნოლოგთა, ფერმერთა, ექიმთა ...

ვასწავლოთ ახლებურად აზროვნება და მოქმედება

(დასასრული)

ახლა მუშაობის ცენტრშია სასწავლო პროგრამებისა და უმაღლესი განათლების მთელი მეთოდიკური არსენალის შინაარსის არსებითი განახლება. საჭიროა უზრუნველყოთ მთლიანობის ახალი, უფრო მაღალი დონე მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლაში, მისი შემადგენელი ნაწილების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილებისა და მისი დღევანდელი რევოლუციური პრაქტიკის ურთიერთგამჭოლი ერთიანობის უზრუნველყოფაში. რევოლუციური მოძღვრების მთლიან დაუფლებას შეუწყობს ხელს მარქსიზმ-ლენინიზმის სახელმწიფო გამოცდის შემოღებაც, რომელიც კურსდამთავრებულების დღევანდელზე უფრო ყოველმხრივ იდეურ-თეორიულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ატესტაციას მოგვცემს. ღია კონკურსებზე მიღების მიხედვით სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაგეგმილი აქვს 1988 წელს პოლიტგამომცემლობასთან ერთად გამოსცეს ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის სახელმძღვანელები.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სწავლების მეთოდიკის სრულყოფა. გარდაქმნა მოითხოვს, რომ მეცადინეობის პასიური, წვრილმანი ფორმები შეეცვალოთ მუშაობის აქტიური ფორმებით, საჭირბოროტო პრობლემებისადმი მიძღვნილი ნამდვილი დისკუსიებით. სიმართლის გაკვეთილი, რომელიც პარტიის XXVII ყრილობამ მოგვცა, მოითხოვს, რომ სწორედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეცადინეობებზე შეეძლოთ სტუდენტებს სწორი პასუხის მიღება კითხვებზე, რომლებიც ყოველდღე ებადებათ. საჭიროა უზრუნველყოთ უთუო პრიორიტეტი სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისა, რომლის შესრულებას კონტროლს უნდა ვუწევდეთ, ვეხმარებოდეთ და მხარს ვუჭერდეთ მას. ეს მუშაობა უნდა შევიდეს მასწავლებლის სასწავლო დატვირთვასა და განრიგში და სავალდებულო იყოს სტუდენტისათვის.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების სერიოზული რეზერვია ზოგადმეცნიერულ და სპეციალურ დისციპლინებთან მათი კავშირის გაღრმავება, აღნიშნა მომხსენებელმა. სწავლების დონე რომ ავაწიოთ, უფრო გაბედულად უნდა მოვაწყოთ ექსპერიმენტები, და ამასთან მეტი დამოუკიდებლობა მივანიჭოთ კათედრებს სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის შესრულებისას.

გარდაქმნა დაიწყო სამეცნიერო საქმიანობის სფეროშიც, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული ზრდის მთავარი პირობაა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა. ჩვენ მეტისმეტად დიდხანს ვურიგდებოდით ისეთ ძველისძველ სნეულებებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში, როგორიცაა ბევრი გამოკვლევის მოწყვეტილობა რეალური ცხოვრების მოთხოვნებისაგან, პრაქტიკის თეორიულ გააზრებაში ნამდვილი ბიბის შეცვლა სქემებით და სტერეოტიპებით ცნებათა განსაზღვრის გარშემო. მნიშვნელოვანი რაოდენობის კათედრათა სამეცნიერო მუშაობას ახასიათებს უნაყოფობა; ზოგჯერ მასწავლებლებს წლიდან წელში, გეგმიდან გეგმაში გადაქცევ ერთი და იგივე პრობლემის დამუშავება ისე, რომ ნაბიჯსაც კი არ დგამენ წინ.

ბოლო ხანს გაიზარდა უმაღლეს სასწავლებელთა საზოგადოებათმცოდნეების მონაწილეობა კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტაში. მათ იზიდავენ საწარმოო კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებლად, მაგალითად, უფის საავიაციო ინსტიტუტში — ახალი სამრეწველო ათვისების რაიონებში შრომითი კოლექტივების სტაბილიზაციის საკითხების მიხედვით. სიმფეროპოლის უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრამ სოციოლოგიური ლაბორატორიის დახმარებით შეიმუშავა და ქალაქის საწარმოთა უმრავლესობაში დანერგა წარმოების სოციალური რეზერვების ეფექტიანი გამოყენების სისტემა.

აღნიშნა რა, რომ გარდაქმნა სტუდენტი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის არსებითს გაუმჯობესებას მოითხოვს, ორატორმა განაცხადა, რომ ამ მრავალფეროვან მუშაობაში სულ უფრო აქტიური როლის შესრულება მართებთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს. მათი ამოცანაა სტუდენტებს განუვითარონ პასუხისმგებლობა სასწავლო შრომის ხარისხისათვის, შექმნან მკაცრი მომთხოვნელობის ატმოსფერო.

ჩვენი დროის გარდამტეხი ხასიათი, ორი მსოფლიო სისტემის ჭიდილი წარმოშობს სტუდენტების იდეური აღზრდის ყოველმხრივი გაძლიერების, მათი პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლების საჭიროებას. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს წინაშე დგას ამოცანა მიაღწიონ იმას, რომ ყოველ მომავალ სპეციალისტს მკაფიო კლასობრივი პოზიცია ეკავოს.

შეეხო რა უმაღლესი სკოლის აღსაზრდელების პოლიტიკური და ზნეობრივი კულტურის ჩამოყალიბების პრობლემებს, ორატორმა ყურადღება დაუთმო სამშობლოს ისტორიული წარსულის შესწავლის მნიშვნელობას, ათეისტური აღზრდის პრობლემებს, პიროვნების სულიერი მოთხოვნების განვითარებას. უაღრესად საინტერესოა სპეციალისტების ჰუმანიტარული მომზადების გამოცდილება, რომელიც შეიძინეს როსტოვის უნივერსიტეტში, სადაც ყველა სპეციალობის სტუდენტი ფაკულტატიურად სწავლობს ჰუმანიტარული და ზოგადკულტურული პროფილის დისციპლინათა კომპლექსს.

დიდ პრობლემათა შორის მომხსენებელმა დასახელა სტუდენტების თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება პიროვნების ყოველმხრივი განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი, კულტურული და ფხიზელი წესის ნორმებისა და ტრადიციების დამკვიდრების მიზნით.

სტუდენტების სწავლებისა და აღზრდისადმი თანამედროვე მიდგომის ფუძემდებელი საკითხები ვერ გადაწყდება, თუ ყოველნაირად არ გაკტიურდება უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციები, თუ არ განვითარდა სტუდენტური თვითმმართველობა, რომელშიც მთავარი მამოძრავებელი ძალის როლის შესრულება მართებს კომკავშირს. უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირულ ორგანიზაციებს უნდა დავეხმაროთ იმაში, რომ სრულად ათვისონ თვითმმართველობის ჩვენები, შეიძინონ დემოკრატიის ნორმებით სარგებლობის უნარი, არ ეშინოდეთ ინიციატივის გამოჩენა, ფორმალიზმის აღმოფხვრა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის გარდაქმნა და ხარისხის გაუმჯობესება გადამწყვეტწილად დამოკიდებულია კადრების შემადგენლობაზე, მან თქვა, რომ განვლილ ხუთწლედში მეცნიერული ხარისხებისა და წოდებების მინიჭებისა [illegible] ალ-[illegible] ალ-[illegible] ალ-[

გულითად მადლობას გიხდით

გულწრფელი, ამაღელვებელი დიალოგი — სწორედ ასე შეიძლება ეწოდოს იმ სულიერ კონტაქტს, რომელიც მყარდებოდა კიროვაკანის ო. ბელიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის თითოეულ სპექტაკლზე, თეატრისა, რომელმაც დაამთავრა სამკვირიანი გასტროლები თბილისში. ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრის სცენაზე სტუმრებმა წარმოადგინეს ათი ნამუშევარი. ამ სპექტაკლებმა ცხადყო, რომ თეატრი აქტიურად ეძებს საინტერესო თემებსა და მკაფიო მხატვრულ გადაწყვეტებს.

სტუმართა ვრცელმა რეპერტუარმა, რომელიც მოიცავს კლასიკის, საბჭოთა დრამატურგიის ნაწარმოებებს, წარმოაჩინა დასის ოსტატობის მაღალი დონე.

სომხური თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრადაა მიჩნეული ა. სუმბათაშვილ-იუჟინის პიესის „ღლატის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ორჯერ უჩვენეს და რომლითაც მაყურებელთა თხოვნით 29 სექტემბერს დამთავრა თავისი გასტროლები თეატრმა.

ვ. შახვერდიანის საინტერესო რეჟისორულმა გადაწყვეტამ, მხატვარ ხ. კარაბეკიანის სცენოგრაფიამ, მთავარი როლების შემსრულებლების ე. აღანიანის, ა. ზაქარიანის, ნ. კალაშიანის საინტერესო თამაშმა, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის მეკვიდრეობის, ქართული თემისადმი თითოეული მათგანისა და ერთმთლიანად მთელი დასის მოწიწებულმა დამოკიდებულებამ — ამ კომპონენტების სინთეზმა უზრუნველყო სწორედ „მეგობრობის სპექტაკლის“ წარმატება.

გასტროლების დახურვაზე გამოვიდა კიროვაკანის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ხაჩატრიანი, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პარტიასა და მთავრობას სომხური დასის შემოქმედების ესოდენ დიდი შეფასებისათვის, ყველა თბილისელ მაყურებელს — გულთბილი მასპინძლობისათვის.

(საქინფორმი).



იღებენ ფილმს

ბრავო, ალბერ ლოლიშ!

ასეთია პირობითი სათაური მხატვრული ფილმისა, რომლის გადაღებაც ძველი თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე — ბამბის რიგზე მიმდინარეობს...

კითხვაზე, რას წარმოადგენს ახალი ფილმი, და ვინ არიან შემოქმედებითი კოლექტივის წევრები, დამდგმელმა-რეჟისორმა მერაბ თავაძემ გვიპასუხა:

— ფილმის „ბრავო, ალბერ ლოლიშ!“ სცენარის ავტორია ლევან ჭელიძე. მთავარი გმირი — ალბერ ლოლიში უცხოელი არ გეგონოთ, იგი ქართველია, მაგრამ უცხოელის სახელით მოქმედებს, რადგან იცის, თავისიანს ნაკლებად დაუჯერებენ, უცხოელს კი მეტი პატივისცემით მოეკიდებიან. ეს არის უაღრესად ნიჭიერი კაცი ავანტურისტის ნიღბით. მან არც კი იცის, თავისი უცნაური საქციელით რაოდენ კარგ საქმეს აკეთებს.

მოქმედება ხდება XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს, როცა საქართველოში ფეხს იკიდებს ტექნიკის სიახლენი. ალბერ ლოლიში კი ის კაცია, რომელმაც პირველი ველოსიპედი, პირველი მანქანა შემოიტანა. რასაკვირველია, ჩვენი გმირი რეალური პიროვნება არ გახლავთ.

ფილმი კომედიური ჟანრისაა, მაგრამ ტრაგიკომედიაში გადადის. მას მაყურებელი 1987 წელს იხილავს.

გაგაცნობთ ჩვენს შემოქმედებითს კოლექტივს. მთავარი ოპერატორია იური კიკაბიძე, ოპერატორი — გია ხუსრაშვილი, დამდგმელი მხატვარი — ჯემალ მირზაშვილი, კომპოზიტორი — გივი გაჩეჩილაძე. მონაწილეობენ მსახიობები ზურაბ ყიფშიძე, ნინელი ჭანკვეტაძე, ედიშერ მაღალაშვილი, გია ბურჯანაძე, ზაზა კოლელიშვილი, გურამ ჩხარტიშვილი.

„კომუნისტის“ კორ.



სურათებზე: ფილმის დამდგმელი რეჟისორი მ. თავაძე (ზემოთ) ამოწმებს გადასაღებ მომენტს; კადრები მომავალი ფილმისათვის.

ს. ჰილაძის ფოტო.

იკვებეთ რაციონალურად!

როგორ ვიკვებოთ რაციონალურად? ეს კითხვა ბევრს აღელვებს... სსრ კავშირის შედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კვების ინსტიტუტის მეცნიერება სისტემატურად აწყობენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანთა შემოწმებას. ციფრები, რომლებიც დაუსახელა საკდესის კორესპონდენტს ვიტამინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვ. სპირიჩოვმა, მეტად მოულოდნელი იყო. თურმე, ზაფხულში და შემოდგომაზეც კი, შუა „ხლობოტნეულის“ სეზონში ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს აკლდება ნორმა ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ვიტამინის — ასკორბინმჟავასი. ამის მიზეზი უბრალო რამეა — ნაკლებად ვიღებთ ხილს, ბოსტნეულს. არადა, სწორედ ხილი და ბოსტნეულია ორგანიზმისათვის ამ აუცილებელ ნივთიერებათა ერთადერთი წყარო.

გაიხსენეთ, შუა ზამთარში როგორ გენატრებოდათ ახალი ვაშლი, კიტრი თუ სტაფილო, როგორ გინდოდათ სალათზე დაგეჭრათ მწვანე ხახვი.. ბუნებამ ტყუილად როდი შექმნა ყველაფერი ეს მეტად გემრიელი, სურნელოვანი. რახან გემრიელი და სასიამოვნოა, მაშასადამე მარგებელია. — და არა მარტოოდენ მარგებელი, — აუცილებელიც, — ხაზი გაუსვა პროფესორმა ვ. სპირიჩოვმა. — მეცნარეული საკვების სხვა მრავალრიცხოვან ღირსებებს შორის მეცნიერები გამოყოფენ მათ წვენგანურ მოქმედებას — უნარს სტიმული მისცენ კუჭის წვენის გამომუშავებას. ამიტომაც მიიჩნევენ საჭიროდ დიეტოლოგი ექიმები, რომ სადილობა დავიწყოთ სალათით.

ბოსტნეული და ხილი, როგორც უკვე თქვა, ვიტამინების დიდმნიშვნელოვანი წყაროა. უწინარეს ყოვლისა ეს ასკორბინმჟავაა, შემდეგ ფოლიუმმჟავა, და ბოლოს, კაროტინი — ეს უმნიშვნელოვანესი ვიტამინებია. თუმცა ეს მხოლოდ სამია არსებული და ორგანიზმისათვის საჭირო თორმეტი ვიტამინიდან.

საიდან ვიღებთ დანარჩენ ვიტამინებს? სხვა პროდუქტებიდან. და ეს კიდევ ერთი არგუმენტია რაციონალური, მრავალფეროვანი კვების სასარგებლოდ. მაგალითად, ბ 1 და ბ 2 ვიტამინები ბოსტნეულში თითქმის არ არის. ბ 1 ვიტამინს საკმარისი ოდენობით შეიცავს მსხვილი ნაფქვავისაგან გამომცხვარი პური და ფიწლბურა, ბ 2 ვიტამინს — რძე, ე ვიტამინს — მცენარეული ზეთი.

ასკორბინმჟავასა და კაროტინის შემცველობა სხვადასხვა ბოსტნეულსა და ხილში სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ეაშლი არც ისე მდიდარია ასკორბინმჟავათი, როგორც ეს ბევრს ჰგონია: ამ ვიტამინზე ორგანიზმის სადღეღამისო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 5 ლიტრი წვენის დალევაა საჭირო. ამ თვალსაზრისით ბევრად ეფექტიანია ციტრუსები — განსაკუთრებით ლიმონი. ხოლო თუ ვილაპარაკებთ უფრო პროზაულ, ტრადიციულად რუსულ პროდუქტზე, ეს არის კომბოსტო, მათ შორის დამწნილებული. დღეში 200-300 გრამი და თქვენ იღებთ 60-70 მილიგრამ ასკორბინმჟავას, ანუ სადღეღამისო ნორმას. ამიტომ მხოლოდ მისასალმებელია, როცა დიასახლისები უხვად იმარაგებენ მწნილს. ასკორბინმჟავას მეორე წყაროა შავი მოცხარი. მისი დამზადებაც შეიძლება ზამთრისათვის. და ბევრმა ალბათ უკვე დაამზადა კიდეც. შაქართან გახეხილი იგი მრავალ თვეს ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს.

ბოსტნეული და ხილი ინ გვაწვდიან აგრეთვე მინერალურ მარილებს — კალიუმს, მაგნუმს, კალციუმს. კალიუმი, მაგალითად, მეტად მნიშვნელოვანია გულის კუნთის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფისათვის, მას შეიცავს ყურძენი. კარდიოლოგებს „ყურძენი“ თერაპიაც კი აქვთ.

ვიტამინებისა და მინერალური მარილების გარდა ხილობოსტნეული შეიცავს ადამიანისათვის მეტად საჭირო კიდევ ერთ პროდუქტს — ეგრეთ წოდებულ საკვებბოჭკოვებს. ისინი დიდხანს მიაჩნდათ बალასტურ ნივთიერებებად. ახლა კი ცხადია, რომ ისინი უბრალოდ აუცილებელია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალური მუშაობისათვის.

ჩვენს მენიუში ხილისა და ბოსტნეულის ნაკლებობა, აღნიშნა პროფესორმა ვ. სპირიჩოვმა, კუჭის ცუდ მუშაობად გვიჯდება. იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის ფაქტორიც.

ერთი სიტყვით, თქვა დასასრულ ვ. სპირიჩოვმა, ნუ მოიკლებთ ხილსა და ბოსტნეულს. მით უფრო ახლა, როცა შემოდგომა გვაძლევს შესაძლებლობას მოვიმარაგოთ ვიტამინები. ახალი მეცნარეული პროდუქტები საჭირო საკვებ ნივთიერებებს მოგაწვდით. ამასთან არ გემუქრებათ ზედმეტი კილოგრამები. უნდა გახსოვდეთ: ზედმეტი წონა ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, არასასურველი ჰორმონული ცვლილებების პირველი საგანგაშო ნიშანია თქვენი ორგანიზმისა. ადამიანები, რომლებსაც ნორმაზე 20 პროცენტით მეტი წონა აქვთ, 20 პროცენტით მეტად ავადდებიან იშემიური დაავადებით, ინფარქტითა და იწსულტით, ვიდრე ნორმალური წონის ადამიანები. ამის თავიდან აცილებაში დაგეხმარებათ რაციონალური კვება.

ვ. ხრუსტოვი,
საკდესის კორ.

მოსკოვი.

მარადიდელთა სიხარული

აბარის სამხრეთით მდებარეობს მარადიდი — ჩაით, ყანებითა და კაკლებით ცნობილი სოფელი. ოდითგანვე იგი ორად გაუყვია ბობოქარ მდინარე ჭოროხს. უფრო სწორად, გლეხკაცს გალმაც დაუდვია ფუძე და გამოდმაც. ადრე მათ საბაგირო ხიდი აკავშირებდათ, შემდეგ — რკინისა. ქამთა სვლას ვერც ამ ხიდმა გაუძლო და აი გადაწყდა, ახალი ხიდი აეგოთ. ეს საქმე სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მე-12 ტრესტის კოლექტივს მიენდო. ადგილი არ იყო ვიწრო, მიკიბულ-მოკიბული გზებით რთული კონსტრუქციების მათუმიდან მარადიდში ატანა. მაგრამ იმარჯვკაცმა და მისმა მონდომებამ—ჟოროხზე ისეთი ხიდი გადდო, რომელიც მარადიდელ გლეხკაცს დიდხანს მოემსახურება.

ტ. ჯიბლაძე.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲗᲝᲡᲘᲗ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ პროფესორმა გიორგი მერკვილაძემ მწერლობის ერთ-ერთი ურთულესი ჟანრი — რომანი სამი ათეული წლის წინ გაეხადა თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების მთავარ საგნად.

გავიდა წლები და მკითხველმა ამ კვლევა-ძიების შედეგები (ვრცელი მონოგრაფიები თუ ცალკეული ნარკვევები) რამდენიმე წიგნის სახით მიიღო. ნაშრომებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია როგორც სპეციალისტებში, ისე მკითხველთა ფართო წრეებში. ზოგი მათგანი რუსულადაც ითარგმნა და გამოიცა. ეს ცხოველი ინტერესი გაპირობებულია, ერთი მხრივ, რომანის ჟანრული სპეციფიკის თეორიული პრობლემების დაყენება-გადაწყვეტით, მეორე მხრივ კი თვით ლიტერატურული მასალის კრიტიკული ანალიზის მაღალი პროფესიული დონით. აღსანიშნავია ისიც, რომ გ. მერკვილაძე არ იზღუდება მხოლოდ ქართული და რუსული მასალით, კვლევა-ძიებაში უხვად იყენებს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მწერლობისა და მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს, ითვალისწინებს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მსოფლიო მიღწევებს.

გ. მერკვილაძის მეცნიერული კვლევა-ძიების ბოლო წლების შედეგია შესული წიგნში „რომანის თვალსაწიერი“, რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ და, როგორც სათაურიდანაც ჩანს, რომანთან დაკავშირებული პრობლემატიკის დამუშავებას ისახავს მიზნად.

„მრავალსახეობის ერთობლიობა“ ჰქვია ვრცელ ნაშრომს, რომელშიც „გამოკვლეულია ეროვნული ფორმისა და ინტერნაციონალური შინაარსის გამოვლენის პრობლემა საერთოდ კულტურაში, კერძოდ კი ლიტერატურაში, ავტორი ეყრდნობა რა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს, გაბედულად გვთავაზობს უდავოდ ინტერესგასაწევ ახლებურ მოსაზრებებს.

გ. მერკვილაძეს საბჭოთა რომანის ეროვნულ თავისებურებათა ყოველმხრივი შესწავლა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ აქტუალურ და გადაუდებელ საქმედ მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, „რომანი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფენომენია“. ეს თვალსაზრისი შეიძლება მართლაც პარადოქსად მოგვეჩვენოს, თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ რომანის ჟანრის ზოგად პოეტიკას და უგულებელყოფთ თემატურ-შინაარსობრივ მხარეს. სწორედ ასეთი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გ. მერკვილაძე იქვე განმარტავს: „მასში (ე. ი. რომანში) ასახულია ამა თუ იმ ერის ცხოვრება, მისი კონკრეტული სოციალური, პოლიტიკური, სულიერი მდგომარეობა დროის გარკვეულ მონაკვეთში; ჰეშმარიტი რომანის ესთეტიკური, იდეური, შემეცნებითი ძალა ყოველთვის ამოზრდილია ერის, ხალხის ხასიათზე, ნაკარნახევია მისი ინტერესებით, განპირობებულია მისი კონკრეტული ცხოვრებით. რომანის გმირები განსახიერებენ ეროვნულ ფსიქიკურ წყობას. მთელი მხატვრული სტრუქტურა რომანისა ყალიბდება უმთავრესად, როგორც ეროვნული მოვლენა“ (გვ. 6). ამავე დროს მკვლევარი უყურადღებოდ არ ტოვებს „ეანრული სპეციფიის საყოველთაობას“ და იმ ანგარიშგასაწევ გარემოებებს, რომელთა გამო რომანი ინტერნაციონალურ მოვლენად იქცევა. ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ცნობილ მარქსისტულ დებულებას: „კულტურათა შექანიკური გათიშვა ინტერნაციონალურ შინაარსად და ეროვნულ ფორმად არც გამართლებულია და არც შესაძლებელი. ეროვნულ ფორმას და ინტერნაციონალურ შინაარსს შორის არ არსებობს მიაზოლირებელი ზღუდეები. ისინი უნდა განვიხილოთ ერთიანობაში, როგორც ერთობლივად მოქმედი ერთი მთლიანი ფენომენი“ (გვ. 14).

ნაშრომში მთელი სისრულით არის მხილებული ეროვნულ კულტურათა მოსპობის ბურჟუაზიული თეორიის რეაქციული არსი; ასევე დამაჯერებლად არის უარყოფილი, როგორც „ეროვნული ჰერმეტიზმის“, ასევე „ეროვნული ნიჰილიზმის“ თვალსაზრისი. ცალ-ცალკეა გამოყოფილი და საგანგებოდ დახასიათებული მხატვრული ნაწარმოების ისეთი კომპონენტები, რომელთა ერთობლიობით ვლინდება ეროვნული ფორმა და სოციალისტური შინაარსი. ვრცლად არის ლაპარაკი შემოქმედებითი მეთოდის ერთიანობაზე, სოციალისტური თანაცხოვრების წესზე, ტრადიციებზე, ენაზე და სხვ. სავსებით სამართლიანად, ენა მიჩნეულია ეროვნული ფორმის მთავარ ელემენტად, მაგრამ ისიც საგანგებოდ არის მითითებული, რომ „მარტო ენით არ შეიძლება ამოიწუროს ლიტერატურისა და ხელოვნების ეროვნული ფორმის მთელი სიმდიდრე და მრავალფეროვნება“. ამ საკითხის უფრო თვალსაჩინოდ გარკვევისათვის მიმართავს ექსკურსს ხელოვნების სხვა დარგებშიც (მუსიკა, ფერწერა და სხვ.); განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ერთი მხრივ, თარგმანებს (როდესაც ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანილი ნაწარმოები კვლავ ინარჩუნებს ეროვნულ თავისებურებას). მეორე მხრივ კი ერთეულად ლიტერატურებს (როდესაც ენის ერთიანობა არ ზლის ეროვნულ ნიშანს; თითოეულ მათგანს თავისი ეროვნული ფორმა აქვს) (გვ. 58). ასეთი გამოწვლილვითი ძიების შედეგად მკვლევარი მიდის დასკვნამდე: „რომანის ეროვნული ფორმა, როგორც კონკრეტული ცნება, შეიცავს: ენას, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ნაწარმოებს; ეროვნულ თემატიკას, რომელშიც ტიპიზაციის საშუალებით აისახება ეროვნული ხასიათი; გმირის სახეში გასინილ ხალხის ფსიქიკურ წყობას; ტრადიციებს; ხალხურ შემოქმედებას (ფოლკლორებები, აფორიზმები, ანდაზები, იდიომები, ხატოვანი გამოთქმები); ხალხის ყოფას, ე. ი. ეროვნული ცხოვრების, თავისებურებებისა და დამახასიათებელი ნიშნების გადმოცემას და ა. შ., რომლებიც სოციალისტურ სინამდვილეში შინაგანად გამსჭვალული ინტერნაციონალური არსით.

სოციალისტურ შინაარსი ნაკარნახევია მთელი ჩვენი ცხოვრების წესითა და იდეური ერთიანობით, იმ საყოველთაობით, რაც ასე ნიშნეულია საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხისათვის და განპირობებულია კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებით“ (გვ. 75).

ბოლო ათწლეულში ქართულმა საბჭოთა რომანისტიკამ უდავოდ მნიშვნელოვანი სიახლეები მოიტანა. შეიქმნა მრავალი თვალსაჩინო მხატვრული ღირსებების რომანი. ამ სიახლეთა მეცნიერულ კვალიფიკაციას ახდენს გ. მერკვილაძე ნარკვევების ციკლში „ეანრის დინამიკა“, საგანგებოდ არის გამოყოფილი პრობლემები: „სოციალურად აქტიური გმირისათვის“, „რომანი და ისტორია“, „მითოლოგიის ახალი პლანი“, „სანგრის სიმართლე“... მკვლევარი მოკლედ მიმოიხილავს უკანასკნელ წლებში შექმნილი რომანების (საგულისხმოა, რომ მხედველობის გარეშე არ ტოვებს თითქმის არც ერთ საყურადღებო რომანს), გვიჩვენებს როგორც მიღწევებს, ასევე ნაკლოვანებებს.

თანამედროვე პროზის ერთ საყურადღებო ტენდენციაზეა ლაპარაკი ნარკვევში „თანამედროვე ზნეობრივი გმირისათვის“. აქ მკვლევარი მკითხველს ერთხელ კიდევ შეახსენებს, რომ მწერლობა მუდამ იყო დაინტერესებული ზნეობრივი პრობლემებით, რომ ეს პრობლემები ხელოვნების ნაწარმოებს სოციალურ სიმახვილესაც ანიჭებს.

წიგნის მეორე განყოფილება დათმობილი აქვს მოკლე ლიტერატურულ პორტრეტებს; რომლებიც სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა გარემოებათა გამოა დაწერილი და გამოქვეყნებული. ახლა ისინი ერთად არის თავმოყრილი და ბევრ საინტერესო კითხვას აძლევს მკითხველს გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ (ე. ნინოშვილი, ვ. მაიაკოვსკი, პ. იაშვილი, ი. აბაშიძე, ა. ბელიაშვილი, რ. ჯაფარიძე, გ. ფანჯიკიძე, გ. ჯიბლაძე, გ. ნატროშვილი, ს. ჭელაია, ი. იმედაშვილი). ეს პორტრეტებიც ავტორის მრავალმხრივი ლიტერატურული ინტერესების უდავო დადასტურებაა.

გ. მერკვილაძე თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელია და როგორც თვითონვე აღნიშნავს, „კრიტიკოსს, თავისი პროფესიულ მოწოდების გამოც არ უნდა აკმაყოფილებდეს ლიტერატურული კრიტიკის დონე“ (გვ. 524). ამიტომაც ზრუნავს კრიტიკის გაუმჯობესებისათვის, სრულყოფისათვის. ამ სამატიო ამოცანას ისახავს მიზნად წერილები და ინტერვიუები, რომლებიც შესულია სარეცენზიო წიგნის მესამე განყოფილებაში — „ლიტერატურა. ცხოვრება. კრიტიკა“. აქ თანამედროვე ლიტერატურის ბევრი მწვავე პრობლემაა დაყენებული. რაც მთავარია, სწორად არის განსაზღვრული კრიტიკის მიზნები და ამოცანები, რომ კრიტიკა უნდა „ეხმარებოდეს ლიტერატურული პროცესის ორგანიზაციას, გარკვეული აზრით, წარმართავდეს კიდეც მას“ (გვ. 490); გ. მერკვილაძეს კრიტიკის აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებად მიაჩნია „არა მხოლოდ მისი ნეგატიური პათოსი (რას „შეებრძოლოს“), არამედ პოზიტიური სულიც (რას დაუჭიროს მხარი) (გვ. 526). და ეს წიგნიც ამ კეთილშობილური ამოცანის შესრულებას ემსახურება: მკვლევარი მეცნიერის ყურადღება იქით არის მიმართული, რომ აქტიურად ჩაერიოს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში, სამსახური გაუწიოს მშობლიურ მწერლობის.

ანდრო მირიანაშვილი.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის მიღწევათა შესანიშნავი დათვალიერება-გახდა მოძმე ქვეყნის კულტურის დღეები საბჭოთა კავშირში. მეგობრობის ეს შთამბეჭდავი დღესასწაული ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობას და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 40 წლისთავს მიეძღვნა.

დღეების მარშრუტები გადიოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაზე. აქ გაიმართა წამყვანი მხატვრული კოლექტივებისა და სოლისტების კონცერტები, წიგნებისა და სახვითი ხელოვნების გამოფენები, სპექტაკლებისა და კინოფილმების ჩვენება. ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების გეგმები განიხილეს შემოქმედებითს შეხვედრებზე. სტუმრები იყვნენ სახალხო მეურნეობების ობიექტებზე.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დღეების საბოლოო აკორდი გახდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „შუმენი“ და ბულგარეთის ეს ტრადიციოსანი ოსტატები — ეროვნული კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატები. იგი 30 სექტემბერს გაიმართა მოსკოვში, სახელმწიფო ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში. ბულგარელ მსახიობებთან ერთად გამოდიოდნენ საბჭოთა თვითმოქმედი კოლექტივები.

კონცერტზე, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. პ. ვორონინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ვ. გ. ზახაროვი, კულტურის დღეებზე წარმოუხვნიი ბულგარეთის დელეგაცია, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ჭილევი.

ᲒᲖᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲙᲔᲢᲝᲗ ᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის ცნობიერი დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ ონის რაიონის ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციაში და წარმოება-დაწესებულებაში განიხილეს. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს სულ ახლახან მიეძღვნა რაიონის სამეურნეო აქტივის კრება. განხორციელებულ ღონისძიებებს, უდავოდ, გარკვეული დადებითი შედეგი მოჰყვა. ყველგან იქმნება ყოველგვარი დარღვევებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება.

მაგრამ, როგორც რეიდმა ცხადყო, ბევრი შეუგნებელი მოქალაქე მაინც განაგრძობს იოლი გზით ფულის შოვნას, ისინი ძველებურად ხელს აფთურებენ სახელმწიფოს ჯიბეში, უპატიოსნო, დაგმობილი და სამარცხვინო გზით სიარულს ამჯობინებენ. გაფრთხილების მიუხედავად, ეს ანტიპოდები ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ ხელიდან არ გაუშვან არამი ლუკმა. აი ფაქტებიც:

წესრიგი არ არის დამყარებული ინერტული საშენი მასალის გადაზიდვის საქმეში. აი, ამის ერთი საგულისხმო, ცოცხალი მაგალითი: ქ. ცხინვალის საშენ მასალათა ცენტრალურ ბაზაში ერთ დილას სატვირთო ავტომანქანა შევიდა. მას ცხინვალის რაიონის სოფელ მონასტერში მცხოვრები მძღოლი ს. ზოზიაშვილი მართავდა. მუშებმა ავტომანქანის ძარაზე 5,5 ტონა ცემენტის ტომრები დააწყვეს, ყველა საჭირო საბუთი გაფორმდა და მძღოლმა გეზი ონის რაიონისაკენ აიღო. ეს ტვირთი მას ზედდებული თანახმად ჩორდმშენის სამშენებლო უბნის კურორტ შოვის ერთ-ერთ მშენებარე ობიექტზე უნდა მიეტანა. მაგრამ მან დატვირთული ავტომანქანა შემოაბრუნა და თვისი სოფლის გზას გაუყენა. მძღოლმა ცემენტი დღისთა-მზისთა პირდაპირ თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში გადმოტვირთა. მაგრამ რეიდის მონაწილეებმა მაშინ ჩაავლეს ხელი, როცა ს. ზოზიაშვილს თავი ფონს ვასუფი ეგონა. მალე სამსჯავროს წინაშე წარსდგება და პასუხს აგებს სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის.

რეიდში სპეკულანტიც გაება. ეს საძრახისი საქციელი ჩაიდინა სარა ხიტიბაშვილმა. იგი დღისით თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში სპეკულაციურ ფასად ყიდიდა მზესუმზირას, დამნაშავემ გულწრფელად აღიარა, რომ იგი ქუთაისში იყიდა. თითოეულ კილოგრამში 60 კაპიკი გადაიხადა. აქ კი 3 მანეთად და 40 კაპიკად ყიდიდა. უკანონო გამდიდრების ამ დანაშაულზე სახალხო სასამართლო იმსჯელებს.

გამოვლინდა ისიც, რომ ზოგიერთი მოქალაქე ანგარების, პირადი გამორჩენის მიზნით იყენებს თავის საცხოვრებელ ფართობს. ქალაქის ცენტრში, საკაძის ქუჩაზე დგას ჩორდის ბაზის მაღაროთსამმართველოს საუწყებო სახლი. ამ სახლის ერთ-ერთი ოროთახიანი ბინის მფლობელია მებარიტე პ. რეხვიაშვილი. მფლობელიაო, ვამბობთ, თორემ ეს რა ბინის ფლობაა. მას ამ ბინაში დიდი ხანია არ უცხოვრია. ბინის კანონიერ მფლობელს თავისი სახლისაკენ მიმავალი გზაც დაავიწყდა. ფულის მოყვარულმა ბინის მეპატრონემ ოთახები სხვას ქირაზე გასცა. ამ საქციელი ჩორდმშენის მაღაროთსამმართველოს კოლექტივის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. სახელმწიფო ბინა ისეთ მოქალაქეს უნდა მიეცეს, რომელსაც სჭირდება და იქ თვითონ იცხოვრებს.

რეიდის დროს მუქთახორებიც მრავლად გამოვლინდნენ, რომლებიც არსად არ მუშაობენ, მაგრამ პურს ვემრეოლად ჭამენ, ცხოვრებაში არაფერს იკლებენ. ეს განსაკუთრებით მშობლების ზურგს ამოფარებულ ახალგაზრდებზე ითქმის. ისინი დედიკოებისა და მამიკოების ნაყიდი ავტომანქანებით დასეირნობენ და აშკარა უშრომელი შემოსავლით ცხოვრობენ. ერთ-ერთი ასეთთაგანის დედამ თ. შიმშილაშვილმა შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს ვ. ჯაფარიძეს ყველას გასაგონად პირდაპირ ასე განუცხადა: „მსუბუქი ავტომანქანა ჩემს შვილს მე ვუყიდე, წაავიდეს და ისეირნოს, დრო გაატაროს, საყვარელიც გიჩინოს. აბა, ქვეყანაზე ამის მეტი რა შერჩება“. მშობლის ამ მორალს კომენტარი არ სჭირდება.

უნდა ვეცადოთ, რომ გზა გადავუღობოთ ყოველგვარ უშრომელ შემოსავალს. წინ კიდევ დიდი ბრძოლა მოგველის. საკითხა არამი ლუკმის ყველა მადაგარეულს ისეთი ატმოსფერო შეეუქმნათ, რომ ფიჩქვეშ მიწა ეწვოდეთ. ეს ბრძოლა ონში მხოლოდ დაიწყო და თანდათან ფართოვდება.

რეიდის მონაწილენი: გ. დგვარელი — სოფლისწლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი; გ. მაისურაძე — პარტიის ონის რაიკომის ინსტრუქტორი; ე. ჯალაძე — რაიონული გაზეთის „განთიადის“ რედაქციის მუშაკი; დ. ბოგოგბერიშვილი — შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ინსპექტორი; გ. ლობჟანიძე — რაიონის საგზაო-სატრანსპორტო სამსახურის ინსპექტორი; ვ. ციბერაძე — „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

თითქოს საკუთარი იყოს

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲘᲓᲘ

ღონისძიებებს, უდავოდ, გარკვეული დადებითი შედეგი მოჰყვა. ყველგან იქმნება ყოველგვარი დარღვევებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება.

მაგრამ, როგორც რეიდმა ცხადყო, ბევრი შეუგნებელი მოქალაქე მაინც განაგრძობს იოლი გზით ფულის შოვნას, ისინი ძველებურად ხელს აფთურებენ სახელმწიფოს ჯიბეში, უპატიოსნო, დაგმობილი და სამარცხვინო გზით სიარულს ამჯობინებენ. გაფრთხილების მიუხედავად, ეს ანტიპოდები ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ ხელიდან არ გაუშვან არამი ლუკმა. აი ფაქტებიც:

წესრიგი არ არის დამყარებული ინერტული საშენი მასალის გადაზიდვის საქმეში. აი, ამის ერთი საგულისხმო, ცოცხალი მაგალითი: ქ. ცხინვალის საშენ მასალათა ცენტრალურ ბაზაში ერთ დილას სატვირთო ავტომანქანა შევიდა. მას ცხინვალის რაიონის სოფელ მონასტერში მცხოვრები მძღოლი ს. ზოზიაშვილი მართავდა. მუშებმა ავტომანქანის ძარაზე 5,5 ტონა ცემენტის ტომრები დააწყვეს, ყველა საჭირო საბუთი გაფორმდა და მძღოლმა გეზი ონის რაიონისაკენ აიღო. ეს ტვირთი მას ზედდებული თანახმად ჩორდმშენის სამშენებლო უბნის კურორტ შოვის ერთ-ერთ მშენებარე ობიექტზე უნდა მიეტანა. მაგრამ მან დატვირთული ავტომანქანა შემოაბრუნა და თვისი სოფლის გზას გაუყენა. მძღოლმა ცემენტი დღისთა-მზისთა პირდაპირ თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში გადმოტვირთა. მაგრამ რეიდის მონაწილეებმა მაშინ ჩაავლეს ხელი, როცა ს. ზოზიაშვილს თავი ფონს ვასუფი ეგონა. მალე სამსჯავროს წინაშე წარსდგება და პასუხს აგებს სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის.